ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 276

"14" ივნისი 2024 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს (ს/ნ. 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის" პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 68-ე მუხლი პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს შორის ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 მაისის №24.917.1043 განაკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფ"-ს (ს/ნ 206267494) შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე, წარმოდენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ქვესასესხო ხელშეკრულება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა

და

შპს "თბილსერვის ჯგუფს"

შორის

თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან
დაკავშირებით

2024 წლის _____

თბილისი

პრეამბულა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში - ფინანსთა სამინისტრო), ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - თბილისის მუნიციპალიტეტი), მეორეს მხრივ და შპს „თბილსერვის ჯგუფი“ (შემდგომში - კომპანია) მესამეს მხრივ, შემდგომში სამივე ერთად წოდებულნი მხარეებად,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან“ დაკავშირებით (შემდგომში - პროექტი) 2024 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას (საოპერაციო # 54124) (შემდგომში - სასესხო შეთანხმება) 16,000,000 (თექვსმეტი მილიონი) ევროზე;
- საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან“ დაკავშირებით (შემდგომში - პროექტი) 2024 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა საგრანტო შეთანხმებას (საოპერაციო # 54124) (შემდგომში - საგრანტო შეთანხმება) 4,000,000 (ოთხი მილიონი) ევროზე;
- პროექტთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2024 წლის ------- ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას (შემდგომში - პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება);
- პროექტთან დაკავშირებით შპს „თბილსერვის ჯგუფს“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2024 წლის ---------- ხელი მოეწერა პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას (შემდგომში - პროექტის განხორციელების ხელშეკრულება);

დებენ წინამდებარე ქვესასესხო ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება).

მუხლი 1
ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში ყველგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული, ტერმინები, რომელთა განმარტებები მოცემულია სასესხო შეთანხმებაში განისაზღვრება ამ შეთანხმებაში მისთვის მინიჭებული მნიშვნელობებით.

მუხლი 2
ხელშეკრულების საგანი

ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 16,000,000 (თექვსმეტი მილიონი) ევროს, სესხის სახით (შემდგომში - ქვესესხი) სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

თავის მხრივ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სესხის ხელმისაწვდომობას კომპანიისთვის.

მუხლი 3
ქვესესხის დაბრუნების ვადები და მომსახურების პირობები

1. თბილისის მუნიციპალიტეტი მოემსახურება ქვესესხს სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული ფინანსური პირობების იდენტური პირობებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით სხვაგვარადაა განსაზღვრული.
2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელები არ იქნება გადახდილი დროულად თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, მაშინ ფინანსთა სამინისტრო ვადაგადაცილებულ თანხებს დაარიცხავს პირგასამტეხლოს 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამგვარი ვადაგადაცილებული თანხების სრულად დაფარვამდე.

3. ქვესესხის ძირითადი თანხის, საპროცენტო და სხვა გადასახდელების გაანგარიშება მოხდება სესხის ვალუტაში, ხოლო გადახდა განხორციელდება ლარში, გადახდის თარიღისათვის ლარსა და სესხის ვალუტას შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადახდის თარიღამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე ფინანსთა სამინისტრო გაუგზავნის თბილისის მუნიციპალიტეტს შეტყობინებას გადასახდელი თანხის შესახებ. ფინანსთა სამინისტროს მხრიდან შეუტყობინებლობა არ ათავისუფლებს თბილისის მუნიციპალიტეტს ვალდებულების შესრულებისაგან.

4. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ თანხის გადახდის თარიღისთვის, თანხის არასაკმარისი ოდენობით გადახდისას, ფაქტობრივად გადახდილ თანხას ფინანსთა სამინისტრო ჩათვლის გადახდილად ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობის დაცვით:

ა) დარიცხული პირგასამტეხლოს დასაფარად;

ბ) დარიცხული საპროცენტო და ვალდებულების თანხების დასაფარად;

გ) ქვესესხის ძირითადი თანხის დასაფარად.

5. ფინანსთა სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით, თბილისის მუნიციპალიტეტს შეუძლია ქვესესხის გადახდის ვადის დადგომამდე ნაწილობრივ ან სრულად დაუბრუნოს ფინანსთა სამინისტროს ქვესესხი იმ დროისთვის მასზე დარიცხულ პროცენტებთან და სხვა გადასახდელებთან ერთად ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

6. გადასახდელები თბილისის მუნიციპალიტეტმა უნდა ჩარიცხოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე.

7. გადახდა განხორციელებულად ითვლება ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადახდის რომელიმე დღე არ არის საბანკო დღე, გადახდა განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს ან იმ შემთხვევაში თუ მომდევნო საბანკო დღე გადადის შემდეგ თვეში, მაშინ გადახდა განხორციელდება გადახდის დღის წინა სამუშაო დღეს.

მუხლი 4
მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. **ფინანსთა სამინისტრო:**

ა) უფლებამოსილია, დაუდასტუროს EBRD-ს პროექტისთვის სასესხო ანგარიშიდან თანხების გამოთხოვაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი პირების უფლებამოსილება;

ბ) ვალდებულია, განახორციელოს თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქვესესხის მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახდელების დროული დაფარვის მონიტორინგი;

გ) უფლებამოსილია შეაჩეროს თანხის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ თბილისის მუნიციპალიტეტის და/ან კომპანიის მიერ დარღვეული იქნება, სასესხო შეთანხმებით, პროექტის განხორციელების ხელშეკრულების, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და წარმოიქმნება ისეთი ფაქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის პროექტის განხორციელებას და პროექტის მიზნის მიღწევას;

დ) უფლებამოსილია შეაჩეროს თანხის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ EBRD შეაჩერებს სესხის თანხების გამოყოფას ფინანსთა სამინისტროსთვის სასესხო შეთანხმების შესაბამისად;

ე) უფლებამოსილია შეწყვიტოს თანხის გაცემა და მოითხოვოს თბილისის მუნიციპალიტეტისგან ჯერ კიდევ აუთვისებელი თანხების უკან დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის და წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო EBRD შეწყვეტს სესხის თანხების გამოყოფას ფინანსთა სამინისტროსთვის სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისად;

ვ) თუ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც აღნიშნულია წინამდებარე პუნქტის „გ" ქვეპუნქტში და ის თბილისის მუნიციპალიტეტის და/ან კომპანიის მიერ არ იქნება გამოსწორებული ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში (არაუგვიანეს 30 დღისა დარღვევის/ფაქტის მომენტიდან ან აღნიშნულის გამოვლენის მომენტიდან), ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს შეწყვიტოს თანხის გაცემა და თბილისის მუნიციპალიტეტისგან მოითხოვოს მიღებული, მაგრამ ჯერ კიდევ აუთვისებელი თანხების უკან დაბრუნება.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:**

ა) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელება ყველა იმ პირობათა დაცვით, რაც გათვალისწინებულია, სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით, პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით. ამავდროულად, სასესხო შეთანხმების შესაბამისად, სადაც საქართველო პასუხისმგებელია თბილისის

მუნიციპალიტეტის მეშვეობით გარკვეული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე, ყველა აღნიშნული ვალდებულება თბილისის მუნიციპალიტეტმა უნდა შეასრულოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს მიერ სასესხო შეთანხმების პირობების სრული დაცვა;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, EBRD-ის სასესხო ანგარიშიდან თანხების გამოთხოვის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს დასამოწმებლად წარუდგინოს უფლებამოსილ პირთა ხელმოწერის ნიმუშები, ხოლო ამ უფლებამოსილი პირების შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ფინანსთა სამინისტროს;

გ) ყოველწლიურად თავის ბიუჯეტში გაითვალისწინოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ ქვესესხთან დაკავშირებით გადასახდელები და აღნიშნული აცნობოს ფინანსთა სამინისტროს;

დ) აღრიცხოს პროექტისთვის EBRD-ის სასესხო ანგარიშიდან თანხების მოხსნა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აცნობოს ფინანსთა სამინისტროს წერილობით ან ელექტრონული ფოსტით პროექტისთვის EBRD-ის სასესხო ანგარიშიდან სესხის თანხების მოხსნის შესახებ თანხის მოხსნიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში;

ე) ფინანსურ დოკუმენტაციაში სრულად ასახოს ქვესესხის აღებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, აწარმოოს ჩანაწერები და პირველი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს ყველა ფინანსური დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ქვესესხის ფარგლებში განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებთან;

ვ) დაუყოვნებლივ აცნობოს EBRD-ს და ფინანსთა სამინისტროს ისეთი გარემოებების წარმოქმნის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედოს ან დააბრკოლოს ქვესესხის მიზნობრივი გამოყენება;

ზ) წინასწარ შეათანხმოს ფინანსთა სამინისტროსთან და EBRD-თან პროექტის ფარგლებში ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის, ასეთი ცვლილების გამომწვევი მიზეზები, შემდგომი ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები;

თ) ყოველკვარტალურად, კვარტლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში წარუდგენოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებთან და მათ მიღწეულ შედეგებთან, ასევე სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით ინფორმაციასთან ერთად წარმოადგინოს ინფორმაცია სესხის დაბრუნების თაობაზე. ფინანსთა სამინისტროს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს ფინანსთა სამინისტროში შესაბამისი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია (ასლი). ინფორმაციის ან დოკუმენტაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის 10 დღით გადაწევა;

ი) წლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში სამინისტროში წარადგინოს ანგარიში წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების და საქმიანობის შესახებ.

3. კომპანია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელება ყველა იმ პირობათა დაცვით, რაც გათვალისწინებულია, სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით, პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით. ამავდროულად, სასესხო შეთანხმების შესაბამისად, სადაც საქართველო პასუხისმგებელია კომპანიის მეშვეობით გარკვეული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე, ყველა აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ უნდა შეასრულოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს მიერ სასესხო შეთანხმების პირობების სრული დაცვა;

ბ) შეასრულოს პროექტის განხორციელებისდა წინამდებარე ხელშეკრულებებით განსაზღვრული ყველა ღონისძიება და ქმედება პროექტის ეფექტური განხორციელებისა და დასახული მიზნების მისაღწევად;

გ) ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს კომპანიის ყოველწლიური აუდიტორული დასკვნა.

მუხლი 5
ხარჯები

პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გადასახადები და მოსაკრებლები სესხის თანხიდან არ დაფინანსდება. თბილისის მუნიციპალიტეტი თავის თავზე იღებს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ გადასახდელებს, მათ შორის გადასახადებსა და მოსაკრებლებს.

მუხლი 6

მხარეები აღნიშნავენ, რომ ეცდებიან თავიდან აიცილონ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველგვარი დავა ან კონფლიქტი, ხოლო ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილი უთანხმოებანი გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. კონსესუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან. ხელმოწერილია მხარეთა მიერ ქ. თბილისში, 2024 წლის----------.
2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით. აღნიშნული ცვლილებები და/ან დამატებებიწარმოდგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. მხარეთა ურთიერთობები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
საქართველო, ქ. თბილისი 0114 გორგასლის ქ. 16 ტელ: +995 32 2261444	საქართველო ქ. თბილისი, შარტავაქ. #7 ტელ: +995 32 2722222

უფლებამოსილი წარმომადგენელი	---------- უფლებამოსილი წარმომადგენელი

შპს „თბილსერვის ჯგუფი“

საქართველო, ქ. თბილისი, 0182
კახეთის გზატკეცილი #67
ტელ: +995 32 2619050

უფლებამოსილი წარმომადგენელი